სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N

ქ. ბათუმი 27 თებერვალი 2019 წელი

ერთის მხრივ **სსიპ -ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი** (შემდგომში ,,შემსყიდველი”) წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პაატა მუხაშავრიას სახით და მეორეს მხრივ, **შპს ვოლნათ ტრენინგ მარკეტ (ს.ნ 445 521 089)** წარმოდგენილი მისი დირექტორის: **ნანო მგელაძის** სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი”), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის თანამშრომლის სატრენინგო მოსახურება (CPU 80500000) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 800,00 (რვაასი ლარი 00 თეთრი) ლარს.
2.2. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება `მიმწოდებელს“.

3. მომსახურების მიწოდების პირობები

3.1. „მიმწოდებლის“ მიერ მიწოდებული მომსახურების ხარისხზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება „მიმწოდებელს“.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება მომსახურეობის გაწევისთანავე ფორმდება `მიღება-ჩაბარე-ბის“ აქტით, რის საფუძველზეც „მიმწოდებელი“ „შემსყიდველს“ არსებობის შემთხვევაში წარუდგენს საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურას საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებში.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.
5.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული „მიღება–ჩაბარების” აქტი ან/და საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურა.
5.3. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება 5.2. პუნქტში განსაზღვრული პირობის დასრულების შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.
5.4. „მიღება–ჩაბარების” აქტის ან/და საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის წარმოდგენის გარეშე არ მოხდება თანხის გადახდა.

6. მხარეთა ვალდებულებები

6.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

6.1.1. მიაწოდოს ,,შემსყიდველს” უნაკლო მომსახურება.

6.1.2. დროულად განიხილოს ,,შემსყიდველის” მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომელიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

6.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

6.2.1. უზრუნველყოს მიმწოდებლისათვის“ თანხის გადახდა მიღება–ჩაბარების აქტის ან/და საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურისა წარმოდგენიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7. ფორს-მაჟორი

7.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

7.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით, ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა.

7.3. ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს–მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

8.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელე-ბის შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

8.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9. დავების გადაწყვეტა

9.1. მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით.

9.2. თუ შეთანხმება ვერ მოხერხდა, დავა გადაწყდება სასამართლოს გზით. მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნონ ერთმანეთს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1.ფორს–მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუს-რულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში ხელშეკრულების მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,03 %-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

11.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან

11.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
12.1.1. ურთიერთვალდებულებების შესრულებით;
12.1.2. მხარეთა შეთანხმებით;
12.1.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13. დამატებითი პირობები

13.1 მომსახურების გაწევის ვადაა 2019 წლის 03 მარტიდან 2019 წლის 06 მარტამდე პერიოდი.

13.2 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 აპრილამდე

14. დასკვნითი დებულებები

14.1.თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილია, მიუხედავად ბათილობის საფუძვლისა, ეს არ გამოიწვევს მთელი ხელშეკრულების ბათილობას. ამ შემთხვევაში ხელშეკრულე-ბის დარჩენილი დებულებები მოქმედებს ბათილი დებულების გარეშე.

14.2. მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები.

14.3. ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამ) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

14.4.ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება `მიმწოდებელთან” 2 ეგზემპლარი `შემსყიდველთან”.

შემსყიდველი:

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
მისამართი: ბათუმი, ლ ასათიანის 37
საიდენტიფიკაციოკოდი: 245628496
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი TRESGE22
სახაზინო კოდი 708897520

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
პ. მუხაშავრია

Paata Mukhashavria

Подписано цифровой подписью: Paata Mukhashavria
DN: cn=Paata Mukhashavria, serialNumber=61003008861, o=Citizen, c=GE
Дата: 2019.02.28 12:56:48 +04'00'

მიმწოდებელი:

შპს ვოლნათ ტრეინინგ მარკეტ
მისამართი: ქ. ბათუმი, კოსტავას 24
საიდენტიფიკაციო კოდი: 445521089
ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი“
საბანკო კოდი: TBCBGE22
ანგარიშსწორების ანგარიში:
GE37TB7562636080100010

დირექტორი: ნანო მგელაძე

Nano Mgeladze

Digitally signed by Nano Mgeladze
Date: 2019.02.27 13:37:59 +04'00'

27 თებერვალი 2019 წელი

ssip - baTumis xelovnebis სასწავლო უნივერსიტეტი

forma #3

	dasaxeleba	zomis erTeuli	raod-ba	erT. fasi	Rir-ba	SeniSvna
	1	2	3	4	5	6
1	მირანდა ბაღდადიშვილის სატრეინინგო მომსახურება	ცალი	1	800.00	800.00	
					800.00	

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

Paata Mukhashavria

Подписано цифровой подписью: Paata Mukhashavria
DN: cn=Paata Mukhashavria, serialNumber=61003008861, o=Citizen, c=GE
Дата: 2019.02.28 12:57:36 +04'00'

პ. მუხაშავრია

დირექტორი

Nano Mgeladze

Digitally signed by Nano Mgeladze
Date: 2019.02.27 13:38:41 +04'00'